ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ცირა შუბითიძე– კოლეგიის თავმჯდომარე

გიორგი ბეგიაშვილი –კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია –კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.02.2013

საჩივრის რეგისტრაციის № 022/13

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ პ. კ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ პ. კ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

   1.1 2013 წლის 25 თებერვალს ა. კ.-მ მომართა ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ პ. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

   1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა პ. კ.-მ მისი თანხმობის გარეშე მოიპოვა პერსონალური მონაცემები სამოქალაქო რეესტრიიდან და დაურთო მიმდინარე სამოქალაქო საქმეს, სადაც საჩივრის ავტორი თანამოპასუხედ გამოდის. აღნიშნულს ადასტურებს სამოქალაქო რეესტრის

სააგენტოს დიდუბე-ჩუღურეთის სამსახურის ყოფილი უფროსისათვის მიცემული შენიშვნა პ. კ.-ის მიმართვით ა. კ.-ის პერსონალური მონაცემების გაცემის გამო.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, სამოქალაქო საქმეზე №, უკანონო ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნით, სადაც იგი იყო მოსარჩელე, სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში გამოთქმული განცხადებით მოპასუხე მხარემ მიაყენა შეურაცხყოფა შემდეგი სიტყვებით: „მოსარჩელის არაჯანსაღი და არაადეკვატური დამოკიდებულება.“ აღნიშნული შესაგებელი წარადგინა ადვოკატმა პ. კ.-მ კლიენტის სახელით და ვინაიდან იგი არის მოპასუხე მხარის, შესაგებლის ავტორის წარმომადგენელი, სოლიდარულად უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა საჩივრის ავტორის შეურაცხყოფისათვის.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მეორე საქმეზე № ადვოკატი პ. კ. იყო მოსარჩელის წარმომადგენელი, საჩივრის ავტორი და მისი შვილი კი იყვნენ თანამოპასუხეები. საჩივრის ავტორის შვილისთვის სარჩელის ჩაბარება ვერ ხერხდებოდა, კანონმდებლობით კი სწორედ მოსარჩელის მოვალეობა იყო მოპასუხის პოვნა, თუმცა, ადვოკატმა პ. კ.-მ აღნიშნული ვალდებულება საჩივრის ავტორს გადააკისრა და მოსამართლეც დაარწმუნა, რომ საჩივრის ავტორს უნდა მოეძებნა თავისი შვილი რუსეთში.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა პ. კ.-მ დაარღვია საერთაშორისო კანონმდებლობა, ვინაიდან მან არაკანონიერი გზით სცადა მოპასუხის მონაცემების მოპოვება და საჯარო შეტყობინება გამოაქვეყნა რუსულ ოფიციალურ გამოცემაში.

1.6 საჩივრის ავტორი 2013 წლის 25 მარტის დამატებით ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ მას არ აქვს პირადი ანგარიშსწორების მიზანი ადვოკატ პ. კ.-ის მიმართ.

2. ადვოკატ პ. კ.-ის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა პ. კ.-მ 2013 წლის 14 მარტს წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა ეთიკის კომისიაში. ადვოკატის განცხადებით, ეთიკის კომისიისადმი ა. კ.-ის საჩივრით მომართვის რეალური მიზანი არის პირადი ანგარიშსწორება, ვინაიდან ადვოკატი ახორციელებს საჩივრის ავტორის პროცესუალური მოწინააღმდეგის, მოსარჩელის უფლებების დაცვას „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ უფლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის პერსონალური მონაცემები - როგორც მისი პირადი ნომერი, ისე რეგისტრაციის ადგილი მისთვის ცნობილი იყო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსათვის მიმართვამდე. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში საჩივრის ავტორის პირადი მონაცემები ხელმისაწვდომია.

2.3 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მიერ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან მოპოვებული დოკუმენტაცია, რომელიც თან ერთვის ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ საჩივარს და რომელიც დაკავშირებული იყო საჩივრის ავტორის სამისამართო მონაცემების გამოთხოვასთან, მოიცავს 2010 წლის 22 ივნისიდან 25 ივნისამდე პერიოდში ნაწარმოებ მიწერილობებს. ადვოკატის განცხადებით, მან სარჩელი სასამართლოს წარუდგინა 2010 წლის 11 ივნისს. ადვოკატის განცხადებით, მის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილ სარჩელს თან ერთვოდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდიდან ამოღებული 20.11.2007 წ. და 03.06.2009 წ. სარეგისტრაციო განცხადებები. აღნიშნულ განცხადებებში ა. კ.-ის მისამართად იგივე მონაცემები იყო მითითებული, რაც სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ მისი განცხადების საპასუხოდ გაცემულ წერილში ფიქსირდება.

2.4 ადვოკატის განცხადებით, სამოქალაქო რეესტრიდან ა. კ.-ის მონაცემების გამოთხოვა ემსახურებოდა საპროცესო კანონმდებლობის დაცვას - სარჩელში სწორად ყოფილიყო მითითებული მოპასუხის მისამართი. ა. კ.-სთან მიმართებაში არ წარმოიქმნა საჯარო შეტყობინების აუცილებლობა, რადგან მას საქმის მოსამზადებელ ეტაპზე ჩაბარდა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება არ გახდა საჭირო რადგან ა. კ.-მ მის მიერ წარდგენილ საპროცესო დოკუმენტებში საკუთარი მისამართი თავად მიუთითა.

2.5 ადვოკატის განცხადებით, საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინება სასამართლომ მიიღო და სასამართლოს დავალებით მოხდა მისი გავრცელება. საჯარო შეტყობინების ადრესატს წარმოადგენდა საჩივრის ავტორის თანამოპასუხე და არა თავად ა. კ., შესაბამისად, საჯარო შეტყობინება არ ახდენს გავლენას მის ინტერესებზე. აღნიშნული პროცედურის აუცილებლობა კი სწორედ საჩივრის ავტორის ქმედებამ წარმოშვა, ვინაიდან იგი შეგნებულად თავს არიდებდა თანამოპასუხის - მისი შვილის ადგილსამყოფელის მითითებას. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის და მისი შვილის, როგორც მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დადგენა, მისი და მისი კლიენტის პროცესუალურ მოვალეობას წარმოადგენდა. ადვოკატის ამ მხრივ განხორციელებული ქმედებები კლიენტის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა და არ წარმოადგენდა საჩივრის ავტორის პირად ცხოვრებაში ჩარევას.

2.6 ადვოკატის განცხადებით, ა. კ.-ის მიერ შეურაცხმყოფელ განცხადებებად აღქმული ფრაზები მისი მარწმუნებლის მიერ ხელმოწერილ შესაგებელშია დაფიქსირებული და ადვოკატი არ აწერს ხელს აღნიშნულ შესაგებელს. ამავდროულად, აღნიშნული ფრაზები ჯანსაღი და დასაშვები კრიტიკის ფარგლებში ექცევა და არ აღიქმება შეურაცხმყოფელ გამონათქვამებად.

2.7 ადვოკატმა 2013 წლის 21 მარტს დამატებით წარმოაგენილ ახსნა-განმარტებაში განაცხადა, რომ საჩივრის ავტორმა საქმის განმხილველ მოსამართლეს აცილება განუცხადა იმ მოტივით, რომ ადვოკატის მიმართ სიმპათიას იჩენდა, რაც შესაძლებელია შეფასდეს, როგორც ფსიქოლოგიური ზემოქმედება სასამართლოზე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1. ადვოკატი პ. კ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი /სიითი №/. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2. ა. კ.-მ 2013 წლის 25 თებერვალს მომართა ეთიკის კომისიას.

3.3. სადავო ქმედება განხორციელებულია 2010–2013 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ პ. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა პ. კ.-მ უკანონოდ მოიპოვა მისი პერსონალური მონაცემები, შესაგებელში მითითებული განცხადებით მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაარღვია საერთაშორისო კანონმდებლობა, კერძოდ საჯარო შეტყობინება არაკანონიერად გამოაქვეყნა რუსულ ოფიციალურ გამოცემაში.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: „საადვოკატო საქმიანობის პრინციპია: კანონიერება.“

5.2.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

5.2.3 „ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

5.2.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.

5.3 ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით. ადვოკატმა ყველა შესაძლო ხერხი უნდა გამოიყენოს კლიენტის ინტერესების დასაცავად, კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები და დააყენოს კლიენტის ინტერესები ნებისმიერ სხვა ინტერესზე მაღლა, თუმცა, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა ემორჩილებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და მოქმედებდეს მის შესაბამისად.

5.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 07 მარტის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №057/10/ დაადგინა: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

5.5 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე №010/10/ დაცვის კანონიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტა: „კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლინეტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.“

5.6 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას ადვოკატის მიერ არაკანონიერი გზით მისი პერსონალური მონაცემების მოპოვებაზე. ადვოკატმა პ. კ.-მ ა. კ.-ის მისამართის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით სამოქალაქო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განცხადება შეიტანა 2010 წლის 24 ივნისს (იხ. ს.ფ. 07-

სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პასუხი №). ადვოკატმა პ. კ.-მ სასამართლოში სარჩელი შეიტანა 2010 წლის 11 ივნისს, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სარჩელით და მასზე დართული საკანცელარიო ბარათით (იხ ს.ფ. 26). საჩივრის ავტორის პერსონალური მონაცემები (პირადი ნომერი და საცხოვრებელი ადგილის მისამართი) მისი 2007 წლის 20 ნოემბრის და 2009 წლის 03 ივნისის განცხადებების საფუძველზე ხელმისაწვდომი იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე (იხ. ს.ფ. 34-35 ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

5.7 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია იზიარებს ადვოკატის მითითებას იმის თაობაზე, რომ მას ა. კ.-ის პერსონალური მონაცემები უკანონოდ არ მოუპოვებია. სარჩელის სასამართლოში შეტანამდე ა. კ.-ის მისამართი და პირადი ნომერი ხელმისაწვდომი იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე. სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მიმართვით, ადვოკატის მიზანი იყო, დაეზუსტებინა სარჩელის შეტანის დროს არსებული მდგომარეობა, რათა არ წარმოქმნილიყო სარჩელის ჩაბარების პრობლემა, როგორც ეს წარმოიშვა ა. კ.-ის შვილთან მიმართებაში. ადვოკატს უკანონოდ არ მოუპოვებია ის ინფორმაცია, რაც საჯარო იყო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე.

5.8 საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას ადვოკატის მიერ საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევის, სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების უკანონობის თაობაზე. გადაწყვეტილება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ მიღებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 იანვარის განჩინებით, მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ შეძლო მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის დადგენა. (იხ. ს.ფ. 31; 48-49; 53-56) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: ,,სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვრდზე განთავსებით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში- მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.“ ადვოკატმა, როგორც მოსარჩელე მხარის წარმომადგენელმა ისარგებლა სსსკ-ის 78-ე მუხლის პირველი ნაწილით მისთვის მინიჭებული უფლებით, როდესაც სასამართლო შეტყობინება საჯაროდ გაავრცელა რუსეთში, მხარის სავარაუდო საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში გავრცელებულ გაზეთში.

5.9 ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ თავისი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით.

5.10 ადვოკატის მხრიდან განხორციელებული სიტყვიერი შეურაცხყოფა ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტი ადვოკატს უფლებას ანიჭებს ისე დაიცვას კლიენტის ინტერესები, რომ არ შელახოს პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.

5.11 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 04 აპრილის გადაწყვეტილებით /დისციპლინურ საქმეზე №023/11/ დაადგინა, რომ: ,,ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, ადვოკატის მიერ შედგენილი სამართლებრივი დოკუმენტები, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას უნდა შეესაბამებოდეს ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს."

5.12 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე №076/10/ ეთიკის კომისიამ განმარტა: ,,ადვოკატებს უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი."

5.13 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა."

5.14 საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის... თავისუფლება" საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია ყველა ადამიანის უფლება „თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებით". საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სიტყვისა და გამოხატვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ იგი ლახავს სხვათა უფლებებს ან ღირსებას.

5.15 საპროცესო კოლეგია იზიარებს ადვოკატ პ. კ.-ის მითითებას იმის თაობაზე, შესაგებელში გამოთქმული მოსაზრება - „მოსარჩელის არაჯანსაღი და არაადეკვატური დამოკიდებულება" ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, რადგან არ არის შეურაცხმყოფელი და არ ლახავს პირის ღირსებას. აღნიშნული ფრაზა გამოყენებულია შემდეგ კონტექსტში: ,,სადაო საკითხებისადმი

მოსარჩელის არაჯანსაღი და არაადეკვატური დამოკიდებულება, რაც მისი მხრიდან ნებისმიერ შემთხვევაში კონფლიქტის პროვოცირებას იწვევს, უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელს ხდის მასთან კონსტრუქციული დიალოგის წარმართვას.“ მოცემული ფრაზის მიზანია, სადაო საკითხისადმი მოსარჩელის მიდგომის გაკრიტიკება და არა მოსარჩელის შეურაცხყოფა.

5.16 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის „გ“ ქვპუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას. შესაბამისად, ადვოკატ პ. კ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე-33-ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №022/13 ადვოკატ პ. კ.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ცირა შუბითიძე/

კოლეგიის წევრი: /გიორგი ბეგიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

III დისციპლინური კოლეგიის წევრის ირაკლი კორძახიას
განსხვავებული აზრი

ეთიკის კომისიის 2013 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილებაზე დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

1. ვეთანხმები ეთიკის კომისიის პატივცემული წევრების გადაწყვეტილებას ადვოკატ პ. კ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ საქმეზე № 022/13 იმ საფუძვლებით, რა საფუძვლებიც მითითებულია კომისიის გადაწყვეტილებაში, თუმცა, არსებობს დამატებითი საფუძველი, როგორიც არის ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1–ლ პუნქტში განსაზღვრული კანონიერების პრინციპის დარღვევა საქმეში წარმოდგენილი 22.06.2010 დათარიღებული ორდერის გამოწერისას, რაც შეიძლება დადგინდეს საქმეში არსებული შესაბამისი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში.
2. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საფუძვლით განმცხადებელს არ მოუთხოვია დისციპლინური დევნის აღძვრა. დისციპლინური საქმისწარმოება თავისი არსით მიეკუთვნება სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებულ სამართლებრივ დავას. (ი.ხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 28.01.1983 გადაწყვეტილება საქმეზე ალბერი და ლე კომპტი ბელგიის წინააღმდეგ,***Albert and Le Compte v. Belgium***). მიუხედავად ასეთი ხასიათისა, დისციპლინური საქმისწარმოება გამოირჩევა კომისიის ფართო ინკვიზიციური უფლებით მტკიცებულებათა მოპოვებისას და განმცხადებლის შეზღუდული ნების ავტონომიით, რისი ერთ–ერთი გამოხატულებაა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის მე–2 პუნქტში განსაზღვრული დისციპლინური დევნის აღძვრის წინაპირობა საქმეში არსებული გარემოებების შეფასებიდან და არა განმცხადებლის მოთხოვნებიდან და პრეტენზიებიდან გამომდინარე. შესაბამისად, დისციპლინური დევნის აღძვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას განმსაზღვრელია დისციპლინურ საქმეში არსებული, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების შეფასება, მათი განიხლვის ეტაპზე დადგენის შემთხვევაში ადვოკატის პროფესიული ვალდებულებების დარღვევის არსებობა–არარსებობის კუთხით.
3. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1–ლ პუნქტში დადგენილია, რომ ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. აღნიშნული ნორმა ფართოდ არის განმარტებული ეთიკის კომისიის პრაქტიკით, რომელიც მითითებულია პატივცემული კოლეგების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში. აღნიშნული განმარტებების გამეორება მიზანშეწონილად მიმაჩნია წინამდებარე დოკუმენტის მიზნებისთვის:

   i) ეთიკის კომისიამ 07.03.2011 გადაწყვეტილებაში საქმეზე №057/10 განმარტა: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება. ადვოკატი

ვალდებულია კანონით გათვალისწინებული საშუალებებითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტებით იმოქმედოს.“

ii) ეთიკის კომისიამ 22.06.2010 გადაწყვეტილებაში საქმეზე №010/10 განმარტა „კლიენტის ინტერესებში ობიექტურად შედის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საპროცესო წესების დაცვით. კლინეტის ინტერესების დაცვა ადვოკატმა უნდა განახორციელოს კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.“

4. შესაბამისად, ეთიკის კომისიას ცალსახად აღიარებული აქვს, რომ კლიენტის დაცვისას ყველა ეტაპზე ადვოკატმა არ უნდა დაარღვიოს კანონი ან პროფესიული ვალდებულებები.
5. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–19 მუხლის მე–3 პუნქტის საფუძველზე, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 01.02.2006 დათარიღებული გადაწყვეტილებით დადგინდა ორდერის რეკვიზიტები. ერთ–ერთი აუცილებელი რეკვიზიტია დავალების შინაარსი, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს საპროცესო მოქმედების აღწერას. საპროცესო მოქმედება მოიცავს როგორც განსახორციელებელ ქმედებას, ასევე სუბიექტს, რომლის სახელითაც ხორციელდება ეს საპროცესო მოქმედება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ გვექნებოდა თვით საპროცესო მოქმედება, რადგან ის ადვოკატის სახელით ვერ განხორციელდება, გამომდინარე იქიდან, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–2 მუხლის შესაბამისად, ადვოკატი ყოველთვის წარმოადგენს კლიენტს.
6. ადვოკატმა 22.06.2010 თარიღში გასცა ორდერი, სადაც მითითებულია საქმის მხარეები: თ. ზ., ა. კ. , დ. ტ., მაგრამ არ არის მითითებული, თუ რომელი პირის დასაცავად არის გაცემული აღნიშნული ორდერი, რომელსაც წარადგენს ადვოკატი. შესაბამისად, იმ პირის (კლიენტის) მიუთითებლობა ორდერში, რომლის სახელითაც ხორციელდება საპროცესო მოქმედება, წარმოადგენს ორდერის სავალდებულო რეკვიზიტის მოუთითებლობას, ხოლო ზემოაღნიშნული ორდერი ეწინააღმდეგება ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–19 მუხლის მე–3 პუნქტს.
7. ორდერი, სადაც მითითებულია საქმეში მონაწილე ყველა მხარე, მათ შორის მოწინაარმდეგე მხარეც, წარმოშობს ალბათობას, რომ ორდერის ადრესატმა დაუშვას, რომ ადვოკატი წარმოადგენს ყველა პირს, რაც მოხდა კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც ირკვევა, საქმეში წარმოდგენილ სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურის უფროსის 26.08.2011 წერილიდან 24.06 2010 თარიღში ადვოკატმა ორდერი წარადგინა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდუბე–ჩუღურეთის სამსახურში და მოითხოვა ა. კ.-ს პერსონალური მონაცემები, ხოლო დიდუბე–ჩუღურეთის სამსახურის უფროსმა შეცდომით მიიჩნია, რომ ადვოკატი წარმოადგენდა ორდერში მითითებულ პირებს, მათ შორის ა. კ.-ს და გასცა ა. კ.-ის პერსონალური მონაცემები, კანონით კი აკრძალულია მესამე პირზე სხვა პირის პერსონალური მონაცემების გაცემა ამ პირის თანხმობის გარეშე. სავარაუდოა, რომ აღნიშნული მონაცემები სჭირდებოდა ადვოკატს მისი კლიენტის – თ. ზ.-ის დაცვისთვის.
8. საპროცესო კოლეგიის კომპეტენციას სცილდება იმსჯელოს, აღნიშნული გაკეთებულია ადვოკატის მიერ განზრახ, თუ უბრალო გაუფრთხილებლობით. აღნიშნული განხილვის კოლეგიის კომპეტენციას მიეკუთვნება. თუმცა, ამ საკითხის

გადაუწყვეტლადაც ცხადია აუცილებლობა იმისა, რომ ორდერი შეესაბამებოდეს კანონით აღმასრულებელი საბჭოსთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრულ მოთხოვნას: ორდერში გარკვევით უნდა იყოს მითითებული პირი, რომელსაც წარმოადგენს ადვოკატი.

9. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ,,*ადვოკატთა შესახებ*" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის, ,,*ადვოკატთა შესახებ*" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,*ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ*" დებულების მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 31-ე მუხლის საფუძველზე ადვოკატ პ. კ.-ის მიმართ უნდა აღძრულიყო დისციპლინური დევნა.

ირაკლი კორძახია

კოლეგიის წევრი